




საშურის მოახბა



№6 (380) 20 თებერვალი, ორშაბათი, 2023 წელი

საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



13 თებერვალს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

2022 წლიდან 2023 წელში გარდამავალი პროექტების ოპერატიულად შემჭიდრობულ ვადებში შესრულების მიზნით, სხდომაზე განსახილველად მერიამ წარმოადგინა ორი საკითხი:

საშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტსა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც დეტალურად მიმოიხილა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა.

სხდომაზე მოწვეულები იყვნენ საშურის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი აეთანდილ დვალისვილი და სურსათის ეროვნული სააგენტოს საშურის სამსახურის სპეციალისტი, ვეტერინარი ნინო თედიაშვილი, რომლებმაც ისაუბრეს მიმდინარე საკითხებსა და გამოწვევებზე, უპასუხეს საკრებულოს წევრთა კითხვებს.

საკრებულოს სხდომას საშურის საგანმანათლებლო რესურსცენტის უფროს ზვიად გოგუაძესთან ერთად ესწრებოდნენ წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები.

საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართება მარტის თვის პირველ რიცხვებში.

USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამამ“ საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნიკო ნიკოლაძის დარბაზში საინფორმაციო სესია გამართა

სესიაზე ადგილობრივ მეწარმეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს პროგრამის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობები გააცნეს და სააპლიკაციო პროცესიც განიხილეს.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს აუდიტორიის შეკითხვებს.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებიც გაზრდიან ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარე ფერმერების/მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებს ან/და დადებით გავლენას მოახდენენ სამიზნე თემებში წარმოებული პროდუქციის ხარისხსა და მოცულობაზე.

საგრანტო განაცხადების მიღება 2023 წლის 6 მარტამდეა შესაძლებელი.



დიდთოვლობა

ტექნიკა მობილიზებულია, ქალაქის ქუჩები და სოფლებთან მისასვლელი გზები რეგულარულად იწმინდება

საშურის მუნიციპალიტეტში დიდთოვლობასთან დაკავშირებით, გზების გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს

ქალაქის ქუჩების წმენდა და გზებზე ტექნიკური მარილის დაყრა, პარალელურ რეჟიმში იწმინდება სოფლებში მისასვლელი გზებიც. თოვლის საფარის გამო შეფერხებით მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. მუნიციპალიტეტი ატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას შეფერხებების დროულად აღმოსაფხვრელად. გზების გაწმენდის სამუშაოები გაგრძელდება და თოვლმწმენდი ტექნიკა დღის განმავლობაში, ყველა საჭირო ადგილზე იქნება მობილიზებული.

გაწმენდის სამუშაოებს ა(ა)იპ „საშურსერვისი“ ახორციელებს.



გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა

10 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპატრელიანი უძღვევოდა.

თავმჯდომარემ ისაუბრა საბჭოს ინიციატივით ჩატარებული კვლევის „გამოხატვის ტექნიკები და გენდერული თანასწორობის აქტუალურობასთან დაკავშირებით“ შედეგების შესახებ, რომელმაც საბჭოს განვლილი მუშაობის შეფასების საშუალება მისცა.



ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი ინიციატივაზე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებში

გენდერული სტატისტიკის წარმოების პროცესის დაწყების თაობაზე, 2023 წლის იანვრის თვის შედეგები წარმოადგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა და გენდერული თანასწორობის საბჭოს სტატისტიკის, ანალიტიკის და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თათია ბროლიძემ, რომელმაც ისაუბრა გენდერულ სტატისტიკაზე, როგორც გენდერული ბიუჯეტების პროცესში ყველაზე სანდო ინსტრუმენტზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებში“ გენდერული კუთხით ამომრჩეველთა ჩართულობის სტატისტიკური ანალიზი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელოვნების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ მაკა დიდბულიძემ და აღნიშნა, რომ კვლევა საჭიროა კონკრეტული გაზომვადი შედეგების მისაღწევად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2022 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობის შესახებ ისაუბრა მერიის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა. აღინიშნა, რომ ასეთი კომისიის არსებობა წინგადადგმული ნაბიჯია.

განსაკუთრებული ხალისი გამოიწვია ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს სკოლამდელი აღზრდის კომისიის თავმჯდომარის ლელა გელაშვილის მოხსენებამ ხაშურის ბაღების გაერთიანებაში ინოვაციური პროექტის „მამები კითხულობენ ზღაპარს“ დაწესების შესახებ, რომლის პარალელურად დაიწყო ახალი პროექტი „დედები და მამები სამზარეულოში“.

ხაშურის მუნიციპალიტეტში „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირის“ ჩამოყალიბების თაობაზე მოხსენება გააკეთა გენდერული საბჭოს წევრმა ნანა შარაშიძემ.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სტატისტიკური კვლევების შედეგად გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე.

26 საუკუნოვანი მეგობრობა

ებრაული სალოცავის ქართველი მცველი

ვანო ცვლაძე სურამელია. სურამში ვანოს თითქმის ყველა იცნობს, მოფერებით სინაგოგის ქართველ მცველსაც ეძახიან, რადგან წლებია, სურამის სინაგოგას სწორედ ვანო პატრონობს, ყურადღებას აქცევს და, როგორც თვითონ ამბობს, ამას იმ მეგობრობის ხაზით აკეთებს, რაც საუკუნეების მანძილზე სურამელებსა და ებრაელებს შორის არსებობს:



ვანო ცვლაძე:
-15-20 წელია მარტო ვაკეთებ ამ საქმეს, მანამდე დედაჩემთან ერთად ვუვლიდი სინაგოგას. მერე დედა ავად გახდა, ერთი წელი სხვა აქცევდა ყურადღებას, მაგრამ იმასაც ვეხმარებოდი. მოგესხენებათ, სურამში ძალიან ბევრი ებრაელი ცხოვრობდა, სამწუხაროდ, ახლა მხოლოდ რამდენიმე ოჯახიღაა დარჩენილი. უამრავი ებრაელი მეგობარი მყავს (უმეტესობა ისრაელშია წასული) და ამ მეგობრობის ხაზით, ჩავთვალე, რომ სინაგოგა უყურადღებოდ არ უნდა დამეტოვებინა და, შეძლებისდაგვარად, ვაქცევ ყურადღებას. თავად მე შშმ პირის სტატუსი მაქვს და მუდმივად დასაქმებული არ ვარ, ხელობა ვიცი და თუ ვინმეს დახმარება დასჭირდა, ვეხმარები. ამიტომ ჩემი სინაგოგისთვის დრო სულ მაქვს. ლამის ყოველ დღე მივიღივარ, ვასუფთავებ, ყველა ნივთი უკვე ძალიან ახლობელი და საყვარელია ჩემთვის. სამწუხაროდ, ახლა, სინაგოგაში დუთისმსახურება ვერ ტარდება, რადგან, ებრაული წესის მიხედვით, ათი ადამიანი მაინც უნდა იყოს, რომ ღოცვა აღველინოს და ჩვენთან ამდენი ებრაელი აღარაა დარჩენილი. ადრე, ჩვენი ძია ნახშინი, ვიდრე იყო ცოცხალი, მოდიოდა და საუბრები იმართებოდა, მაგრამ ახლა ეგეც აღარ ხდება. ერთმა მითხრა: რომ არა შენ, ახლა სინაგოგა დაკეტილი იქნებოდა... მე ვუთხარი, სანამ ერთი სურამელი მაინც იქნება, ჩვენი ძმობის ხაზით, ამ ადგილს დაკეტვა და უყურადღებობა არ ემუქრება-მეთქი.

- სურამში ოდითგანვე იდეალურად თანამეზობლობდნენ ქრისტიანები და ებრაელები, მიუხედავად ამისა, რა რეაქცია აქვთ ებრაელებს, როდესაც იგებენ, რომ მათ სალოცავს ქრისტიანი პატრონობს?

- ძალიან უხარიათ, დღე არ გავა რომ ერთმა ადამიანმა მაინც არ მომწეროს და მადლობა არ მითხრას. ყველა თავის მხრივ ცდილობს მადლიერების გამოხატვას. სულ მეკითხებიან, რამე ხომ არ მჭირდება და ცდილობენ, რომ გვერდში დამდგნენ. მეპატიუებიან, უნდათ რომ ჩავიდე, მაგრამ ფიზიკურად ვერ ვახერხებ დიდ მანძილზე გამგზავრებას, თორემ ჩემი ებრაელი დები და ძმები ვიცი, რომ გულით მიმიღებენ იქ.

- ბავშვობაში თუ გქონდა შეხება სინაგოგასთან?

- კი, მთელი ბავშვობა დავდიოდი. ჩემი ყოველდღიურობა იყო ჩემს ებრაელებთან ურთიერთობა. საკლავის დაკვლა თუ უნდოდით (განსაკუთრებული წესით, მშრალად იციან დაკვლა), ჩვენი ოჯახი ეხმარებოდა ხოლმე. მაცას გამოცხობაშიც ვეხმარებოდით (მაცა - უმარტილო ხშიადი, რომელსაც ებრაელები რელიგიური ჩვეულების მიხედვით, მიირთმევენ პასეჟის დღესასწაულზე, ვინაიდან ამ დროს აკრძალულია საფუარზე დამზადებული პროდუქტების მიღება) და მეც გემრიელად მივირთმევედი. დღემდე მახსოვს ამ საოცარი პურის გემო, იმის მერეც გვიცდია ჩვენც გამოცხობა, მაგრამ თითქოს ის ჩემი მეგობრები რომ არ მყავს გვერდით, ისეთ გემრიელი აღარაა. არ მესმის, როგორ შეიძლება, რელიგიური განსხვავების გამო, ადამიანებს ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონდეთ. იცოდნენ, რომ ქრისტიანი ვიყავი და არც უთქვამთ, რომ რწმენა შემიცვალა, მაგრამ, მიუხედავად ამ განსხვავებისა, საოცარი ძმობა გვქონდა, ასე იყო ყველა, ვისაც სურამში ებრაელებთან ურთიერთობა ჰქონია.

- ტურისტები თუ დადიან სინაგოგაში?

- კორონამდე ბევრი დადიოდა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ყოფილა ტურისტი. ყველას აინტერესებდა ჩვენი სინაგოგა, თავისი ისტორიით. სხვათა შორის, აქ მსახურობდნენ რაბინები ბენიამინ და დავით ჯანაშვილები. დავითი კომუნისტებმა დახვრიტეს. ბენიამინი კი უნიკალური ადამიანი იყო, 17 წლისა უკვე ხახამი იყო, 1908 წელს რუსეთში მიემგზავრება, ხახამ ბინიამინი სწავლას იწყებს რუსეთში ყველაზე ცნობილ ცენტრალურ ლიტერატურულ იეშივაში, რომელსაც სულიერად, ფინანსურად, ადმინისტრაციული მართვით მაშინდელ იეშივათა დიდ ნაწილზე ჰქონდა გავლენა. სწორედ ამ პერიოდში, მინსკის იეშივაში სწავლობდნენ მსოფლიოს უდიდესი რაბინები. ორწლიანი სწავლის პერიოდში, ხახამ ბენიამინი დებულობს რაბის, შოხეტისა და მოჰელის ასმახას. 19 წლის ასაკში მხოლოდ ფენომენ თალმიდებს შეუძლიათ ამის მიღწევა. იგი სახელს იხვეჭს როგორც უდიდესი მლოცველი და ხახანი და, წარმოიდგინეთ, აშკენაზური ღოცვის ბრწყინვალე შემსრულებელი. მიუხედავად იმისა რომ მას მთელ მსოფლიოში ეპატიუებოდნენ, ის მაინც სურამში დაბრუნდა სურამის ღოცვას ხელმძღვანელობდა ხახამ გაბრიელ დავარაშვილთან ერთად. იგი მშვენიერად ფლობდა იდიშს, ზედმიწევნით იცოდა არამეული, ივრითზე ლაპარაკიც ზედმეტია! ენითაუწერელი იყო მისი დარაში ქართულად. შირებისა და ფიუტების ქართულად თარგმნა მუსიკალურად მხოლოდ მას შეეძლო, საოცარი ტემპით კითხულობდა, ასაკოვანი ხალხს დღემდე ახსოვს მისი ხმა. ოციანი წლების ბოლოდან ბენიამინი მთელ მაშინდელი საბჭოეთში მოგზაურობდა, სალოცავები მას ეპატიუებოდნენ და ისიც დადიოდა, თანაც უკვე დაინტერესებული იყო ებრაული საგალობლებით და ცდილობდა შეეგროვებინა. ბენიამინი 1966 წელს გარდაიცვალა, სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგული იყო, მე და ჩემმა მეგობარმა ვეძებეთ და საფლავი, სურამში, ებრაელთა სასაფლაოზე ვიპოვეთ და, შეძლებისდაგვარად, იმასაც ვაქცევთ ყურადღებას. სხვათა შორის, ამაშიც მაგრები ვართ სურამელები, ლამის ყოველ წელს, სურამელი ბავშვები აღიან და ასუფთავებენ ებრაელთა საფლავებს, რადგან ჩვენი ებრაელები ვერ ახერხებენ ყოველთვის ჩამოსვლას და საფლავების პატრონობას.

საოცარად აღვივალს დგას სინაგოგა, აქეთ-იქით ეკლესიებია და შუაგულში, სიდრემშია სინაგოგა, ზოგჯერ, მგონია რომ ჩვენი ეკლესიები გულში იხუტებენ. გვერდით კი, ჩვენი სიამაყე - სურამის ციხე დგას. მინდა, ბევრი ხალხი მოვიდეს, ისევე ახმაურდეს სინაგოგა, მე კიდევ სანამ ცოცხალი, ვარ არავის დავზარდები, რომ დამირეკოს და სინაგოგას კარი გაუღოს.

ლადო გოგოლაძე

უკრაინას ვერ დააჩოქებენ!

1937 წლის სამოქალაქო ომის დროს, ესპანეთში, ფრანკისტებმა, შურისძიების მიზნით, მიწასთან გაასწორეს რესპუბლიკელთა მომხრე ქალაქი გერნიკა. პიკასომ იმავე წელსვე შექმნა მძაფრი პროტესტით გაუღებული პანო „გერნიკა“, სადაც ექსპრესია უმაღლეს დონეზეა აყვანილი. სურათი თითქმის ყვირის, ხმაურობს, ტირის, ადამიანების კვნესა ისმის. ცნობილია, როცა ფრანკოს ჯაღათებმა ეს სურათი ნახეს პიკასოს შეეკითხნენ - „ეს ვინ გააკეთა?...“ - „ეს თქვენ გააკეთათ“, - უპასუხა მხატვარმა.

გერნიკა გახდა სიმბოლო ომის საშინელებების. თითქოს ეს არ უნდა განმეორებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. „მსოფლიო ომის დროს, ისევ პირადი შურისძიების მსხვერპლი გახდა ჩეხეთში მდებარე მემახტეთა დასახლება ლიდიცე. 1942 წლის 27 მაისს, ჩეხი პარტიზანები ლიდიცეში თავს დაესხნენ ჩეხოსლოვაკიის პრორექტორს ჰიტლერის საყვარელ კაცს ჰაიდრიხს. ფიურერის ბრძანებით, 16 ივნისს, გერმანიის ჯარები შეიჭრნენ ლიდიცეში, მოსახლეობა პირწმინდად დახოცეს (ერთი ბავშვი გადარჩა), ქალაქი კი მიწასთან გაასწორეს.

ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო დღეს უკრაინა გახდა. აქ ხდება ის, რასაც ფაშისტები აკეთებდნენ: კოლენტროს, ვარშავის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების მიმართ. რუსები - გროზნოსა და ალექსანდრეპოლის წინააღმდეგ. რუსები უკრაინაში მშვიდობიან მოსახლეობას, მშვიდობიან ქალაქებს ესხმიან თავს. არ ინდობენ ქალებს, ბავშვებს... მერე ურცხვად აცხადებენ ეს უკრაინელებმა ჩაიდინესო.

უკრაინა შედარებით ახალი სახელმწიფოა. მე-14, მე-15 საუკუნეებში უკრაინელები ცნობილი გახდნენ, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთობა. მისთვის დამახასიათებელი ენის, კულტურის და ყოფის თავისებურებებით. მე-16, მე-17 საუკუნეებში კი ჩამოყალიბდა უკრაინელი ხალხი.

აქ დიდი როლი ითამაშა პოლონეთსა და ლიტვასთან ურთიერთობამ. ვინც ამ ერებთან ურთიერთობით შეიქმნა, რამდენადაც უკრაინა ლიტვა - პოლონეთის გაერთიანებულ სამეფოში შედიოდა.

უკრაინას და მის გმირ ხალხს, რომელსაც სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბების გზაზე უამრავი უბედურება ატყდებოდა თავს, პუტინი თავის განუმეორებელი სისასტიკით ვერ გააკვირვებს და ვერ დააჩოქებს. უკრაინამ გაუძლო თურქების და ყირიმელ თათართა თავდასხმებს. პირველ მსოფლიო ომში ჯერ გერმანელებმა დაიპყრეს უკრაინა, შემდეგ რუსეთის წითელი და თეთრი არმიების ბრძოლის ასპარეზად იქცა. თითქოს ეს არ კმაროდა, საბჭოთა რეპრესიები ყველაზე მეტად მათ დაატყდა თავს. განსაკუთრებით საშინელი იყო კოლექტივიზაციის პერიოდი, რომლის დროსაც ათიათასობით შეძლებული გლეხი (კულაკები) რეპრესირებული იქნა და ახლად შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში (გულაგებში) უკრეს თავი.

სტალინის ბრძანებას, უფრო სწორად თეზისს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადების შესახებ,



თავის ყოფილ მიწაზე მომუშავე გლეხი, შეიძლებოდა დაეხვრიტათ კარტოფილის მოპარვისათვის.

მოუსავლიანმა წლებმა, რომელიც თავს დაატყდა უკრაინას 1932-33 წლებში, გამოიწვია არნახული შიმშილობა. სახელმწიფომ წაიღო მთელი მოსავალი და გლეხი დარჩა საჭმლის გარეშე. ყანებში საყარაულო კოშკები აღმართეს, რომ გლეხს სახლში არაფერი წაეღო. კომკავშირელი აქტივისტები კარდაკარ დადიოდნენ და გლეხებს ართმევდნენ ყველაფერს, რასაც კი იპოვიდნენ. ისინი შავი ჭირით მოედნენ სოფლებს, შევარდუბოდნენ სახლებში და ყვიროდნენ „გლეხო, სად არის ხორბალი.“

უკრაინა შიმშილობდა მაშინ, როდესაც ჩამორთმეული ხორბალი ექსპორტზე მიდიოდა. შემოსული მომთაბარეების მსგავსად, აქტივისტები გლეხებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, სცემდნენ. თუ ქალს ქურდობაზე დაიჭერდნენ სოფელში ჩამოატარებდნენ ტანსაცმელ შემოხეულს. ერთ-ერთ სოფელში აქტივისტების რაზმი გამოთვრა გლეხის ქოხში და მისი ქალიშვილი გააუპატიურეს. დამშეული გლეხობა სოფლებიდან გარბოდა. წარმოიშვა კანიბალიზმი. ზოგიერთი მშობელი კი შვილებს უბარებდა, რომ მოკვდებოდა შემჭამეთო...

დემოგრაფიული კვლევების თანახმად, უკრაინაში 4 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა შიმშილით. სტალინი, კაკანოვიჩი და ბალიცკი საბჭოთა უკრაინაში გატარებულ რეპრესიებს უკრაინული ნაციონალიზმის პასუხად მიიჩნევენ.

განსაკუთრებით დიდი უბედურება იყო უკრაინისათვის მერე

მსოფლიო ომი, როდესაც გერმანელებმა გადაუარეს ჯერ წინ და მერე უკან დახვევისას. ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი უკრაინამ გაიღო. 1941-44 წლებში 3,5 მილიონი ადამიანი დაიღუპა გერმანელთა მომაკვდინებელი პოლიტიკის შედეგად. დაახლოებით 3 მილიონი უკრაინელი საომარმა მოქმედებებმა იმსხვერპლა.

უკრაინა უძლებდა ყველა უბედურებას და სიძნელეს, რომელიც მათ თავს ატყდებოდათ. ასეა ახლაც, უკრაინა მამაცურად უმკლავდება პუტინის ურდოებს და უდიდეს პატივისცემას იმსახურებს ცივილიზებულ მსოფლიოში.

მოვიყვან ერთ მაგალითს რუსეთის დამპყობლური პოლიტიკის შესახებ. რუსეთი, მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ, თანდათანობით გადაიქცა უხარმაზარ მონსტრად, რომელიც სხვა ქვეყნების დაპყრობით ცდილობს საზღვრების გაფართოებას. პეტრე პირველის შემდეგ იგი აკონტროლებდა დიდ ტერიტორიებს ბალტიისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. რუსული ბატონობის ქვეშ მოექცნენ თათრები, მონღოლები, ფინელები, ლიტველები, ლატველები, ესტონელები, შვედები და პოლონელები. „მადა



ჭამაში მოდის“ და რუსეთმა დაქუცმაცებული გერმანიის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. რუსულმა დიპლომატიამ დაიწყო პატარ-პატარა გერმანულ სახელმწიფოებზე გაბატონების კამპანია. ამის მიღწევა გამორიცხული იყო ნაპოლეონის დამარცხების გარეშე. ამიტომ საჭირო გახდა გადმოებრივბინათ გერმანელი მთავრები და ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრი.

„მთავრების გადმოებრივებას დიპლომატიის საშუალებით ცდილობდნენ. ფილისტერებისა და ლიტერატურის საშუალებით, მთავრების კარზე გულუხვად იფრქვეოდა რუსული მლიქვნელობა, მუქარა, ტყუილი და ქრთამი. პუბლიკა კი საიდუმლო წარმოშობის ბროშურებმა წაღვეკა, რომელშიც ეწერა, თითქოს მხოლოდ რუსეთს შეეძლო ეხსნა და საკუთარი მფარველობის ქვეშ მიეღო გერმანია.“ (ფ. ენგელსი - რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ).

ბედი სწვალობდა გერმანიას. ნაპოლეონმა სასტიკად გაანადგურა რუსები აუსტერლიცთან და მერე პრესიში - ვილაუსთან და ფრინდლანდთან. გერმანია და ევროპა გადაურჩა რუსეთის იქ გაბატონებას.

რუსეთის დიპლომატიის საგარეო პოლიტიკა, სამწუხაროდ, ისეთივე დარჩა, როგორც იყო მე-18 მე-19 საუკუნეებში - ეს ბევრმა ქვეყანამ გამოსცადა თავის თავზე. მათ შორის ჩვენც. ურცხვად იტყუებიან და ეს სიცრუე თვითონაც სჯეროდათ.

უფრო სამწუხაროა, რომ რუსეთი დღესაც, 21-ე საუკუნეში, „რკინის შეუპოვრობით“, ნაცადი ხერხებით მოისწრაფვის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენისაკენ. და ზოგიერთ ქართველს უხარია კიდევაც ერთმორწმუნე რუსეთის გამარჯვება. ერთმორწმუნე რუსეთი კი, ბარბაროსულად ანადგურებს არა მარტო ერთმორწმუნე, არამედ სისხლით ნათესავ უკრაინელ ხალხს. გვაიწყდება ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, სადაც პოეტი სოლომონ ლეონიძეს ასე ათქმევინებს:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.“

პოეტის აზრით, რელიგიის ერთობა ქართველებსა და რუსებს შორის გადაწყვეტი როდია. მთავარია ამ ორი ერის განსხვავებულობა ეროვნულ ხასიათს შორის.

რუსეთის იმპერიას თავის განვითარების გზაზე ბევრი რამ შერჩა. 1956 წელს უკრაინაში შეიჭრა და დაარბია. 1968 წელს ანალოგიურად მოექცა ჩეხოსლოვაკიას. 1979 წელს ავღანეთში შეიჭრა, რომ იქიდან ინდოეთის ოკეანისკენ გაჭრილიყო. შერჩა ჩეჩნეთის განადგურება. 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. აპატიეს „ბონინის“ ჩამოგდება და 300 მეზავრის დაღუპვა. პოლონეთის სამთავრობო თვითმფრინავის ჩამოგდება.

და აი, 2022 წლის 24 თებერვალს შეიჭრა ევროპის უდიდეს ქვეყანაში, რათა იგი რუსეთის გუბერნიად აქციოს. ამას აკეთებს „დერჟიმორდა“ ლენინელი, ჩეკისტი და იმპერიაზე მეოცნებე პუტინი. და თუ ევროპა უფრო გამოიბერტყავს ყურებს რუსების ბელადს, უღმერთო ჯუჯას, ვატერლოო და ჯოჯოხეთი ელოდება.

**კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი**

წიგნი შიდა ქართლის მცირე სათავადოზე

(თ. ლაცაბიძე, ისტორიული საგვარეულოები ხაშურის მუნიციპალიტეტში, V, ხიდირბეგიშვილები, ხაშური, 2022)


ცნობილი ისტორიკოსისა და მხარეთმცოდნის, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის, ბატონ თამაზ ლაცაბიძის მიერ, ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიული საგვარეულოების სერიით გამოცემულ წიგნებს (გეზირიშვილები, ჩხეიძეები, აბაზაძეები...), 2022 წელს რიგით მეხუთე წიგნიც („ხიდირბეგიშვილები“) მიემატა, რითაც მკვლევარი მიზნად ისახავს საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლისა და ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა-დაქვეითების შედეგად წარმოქმნილი მცირე სათავადოს – სახიდირბეგიშვილოს, როგორც მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობისა და ფეოდალთა იერარქიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის გარკვეული ფორმის, ისტორიის შესწავლას.

აღნიშნული სათავადო-სამფლობელო მამულის, ისევე, როგორც სხვა, დიდი თუ მცირე სათავადოების, შექმნა ხანგრძლივი და რთული პროცესის შედეგია. ქართლის საერისთავოს დაშლას შედეგად მოჰყვა მისი ტერიტორიის სხვადასხვა სათავადოების – ქსნისა და არაგვის საერისთავოების, საციციანოს, საამილახვროს, სამუხრან-ბატონოს მიერ დანაწილება. აღნიშნული მსხვილი სათავადოების გვერდით XVII საუკუნიდან შიდა ქართლში არსებობს ფალავანდიშვილების, ფაველინიშვილების, დავითიშვილების, ხერხეულიძეების, ამირეჯიბების, ავალიშვილების, ხიდირბეგიშვილების, დიასამიძეების, შალიკაშვილების, სიამარდიშვილების, თაქთაქიშვილების, თარხნიშვილების, როჭიკაშვილების, ჩხეიძეების, აბაზაძეების, ვეზირიშვილების... სათავადოები.

ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ, იწყება ფეოდალური საგვარეულოების ცალკეულ წარმომადგენელთა გადმოსახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და, მათ შორის, შიდა ქართლში. ამ პროცესის ამსახველი ცნობები შემოუნახავს ქართულ წერილობით წყაროებს. სამცხის საგვარეულოების ქართლში გადმოსვლის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან... ავალისშვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, აგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს... ხერხეულიძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას, არამედ არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრილებისა... დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 4).

ხიდირბეგიშვილები საქართველოს თავადთა გვარია, რომელთა შთამომავლებმაც მოაღწიეს XXI საუკუნემდე. ისინი სამხრეთ საქართველოდან გადმოსულან და დამკვიდრებულან სურამში. აქ იყო მათი სათავადოს რეზიდენცია, ხოლო საგვარეულო სასაფლაო კვირაცხოვლის ეკლესიაში ჰქონიათ.

თ. ლაცაბიძე, ისტორიული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას, რომ ხიდირბეგიშვილების გვარი მოდის მესხეთიდან, ზედგინიძეების (ზედგენიძეების),



შემდგომი პერიოდის ამილახვრების, გვარიდან. სწორედ ამიტომ XVII-XVIII საუკუნეების არაერთ საბუთში ამ გვარისკაცი ამილახვრიშვილებად მოიხსენიებიან. მკვლევარი იმოწმებს იოანე ბატონიშვილის (1766-1830 წწ.) ცნობას ხიდირბეგიშვილების ქართლში, კერძოდ, ხაშურში, XVII ს-ის 30-იანი წლებიდან დამკვიდრების შესახებ და ამ მოსაზრების მართებულობის გასამყარებლად დამატებით სხვა წყაროებსაც მოიშველიებს, კერძოდ, თეიმურაზ I-ის (1589-1663 წწ.) სახელთან დაკავშირებულ „სასარდლო წიგნს“. თუკი დაგუშვებთ, რომ „სასარდლო წიგნი“ ქართლ-კახეთში მისი მეფობის პერიოდშია (1625-1632 წწ.) შედგენილი, ამ დოკუმენტში ამილახვრის სადროშოში ხიდირბეგიშვილები არ მოიხსენიებიან. მაშასადამე, დოკუმენტის დაწერის პერიოდში ისინი ჯერ კიდევ არ ყოფილან დამკვიდრებულნი ქართლში (იხ. თ. ლაცაბიძე, ისტორიული საგვარეულოები ხაშურის მუნიციპალიტეტში, V, ხიდირბეგიშვილები, ხაშური, 2022, გვ. 5).

XVII-XVIII სს-ის დოკუმენტების მიხედვით, ხიდირბეგიშვილების სათავადოში შედიოდა არა მხოლოდ ხაშურ-სურამის შემოგარენი, არამედ დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სხვა სოფელიც. საგულისხმოა საისტორიო წყაროების მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ ხიდირბეგიშვილებს სურამში ყმებად ებრაელებიც ჰყოლიათ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბატონ თამაზ ლაცაბიძის წიგნში თავმოყრილი და გაანალიზებული დოკუმენტები ინტერესს იწვევს ქართულ-ებრაელი ურთიერთობების ისტორიის ზოგიერთი ასპექტის შესასწავლად.

ფეოდალურ საქართველოში ქართველი ებრაელების მაღალი სამართლებრივი მდგომარეობის დასტურად მკვლევარი იმოწმებს XVIII-XIX სს. არაერთ დოკუმენტს, ერთის მხრივ, ხიდირბეგიშვილებსა და, მეორეს მხრივ, ქართველ ებრაელ მანაშერაშვილებს შორის წარმოებული მრავალწლიანი სასამართლო დავების შესახებ. თ. ლაცაბიძის საკვებით მისაღები და გასაზიარებელი მოსაზრებით, „მოტანილი ვრცელი ამონარიდები საბუთებიდან მიგვანიშნებს იმ მდგომარეობაზე, რომ ფეოდალურ საქართველოში შესაძლებელი იყო დაბალი ფენის წარმომადგენლების დაპირისპირება სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენელთან და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. კერძოდ, ებრაელს შეეძლო ქართული მართლმსაჯულებიდან მიეღო იურიდიულად სწორი გადაწყვეტილება. იგი ქართველებთან თანაბარი უფლებით სარგებლობდა მართლმსაჯულების დროს. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როცა სამეფო კარი მოითხოვს მართლმსაჯულების დროს ესა თუ ის პირი, ამ შემთხვევაში ებრაელი, განსაჯონ ებრაული სამართლით. ასეთ მიდგომას პრეცედენტი არ მოეპოვება მსოფლიოში, მით უფრო ებრაელის მიმართ“ (იქვე, გვ. 17).

მკვლევარს არც ის გარემოება გამორჩენია მხედველობიდან, რომ გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის დანართად წარმოდგენილ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში ხიდირბეგიშვილიც მოიხსენიება და მისი აზნაურებიც – ნათისშვილი და ოლბაელი. ამ აზნაურებს ეხვდებით იოანე ბატონიშვილის ნაშრომსა და რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში.

სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავში (ცენტრალური საისტორიო არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) თავმოყრილი 47 დოკუმენტი ხიდირბეგიშვილების ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის შესახებ, რაც ქრონოლოგიურად მოიცავს XVII-XX სს. პერიოდს.

დიდი ფორმატის, ნ-გვერდიანი წიგნი, რომლის რედაქტორია ქნი მაყვალა ხაჩიძე, მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს შიდა ქართლის ფეოდალური საგვარეულოებისა და მცირე სათავადოების ისტორიის შესწავლის საქმეში. იმედი გვაქვს, რომ ბატონი თამაზ ლაცაბიძე ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას და სათავადოების წარსულის შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას ახალი წიგნების გამოცემით არაერთხელ გაახარებს.

იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი

როგორ გავზარდოთ თაფლის სამკურნალო მნიშვნელობა

საქართველოში გვხვდება მრავალი სამკურნალო თაფლოვანი მცენარეულო, მოცვი, კოწახური, ხურტკმელი, შინდი, ცხენისწაბლი, ასკილი, კუნელი, ჭინჭრის დედა, ჭინჭარი, გვირილა, მაყვალი, ქაცვი, შაბალახა, ცაცხვი, ფურისულა, სალბი, კრაზანა, უკვდავა, ბექონდარა, ბარამბო და სხვა. მათი ყვავილებიდან ხდება ფუტკრის მიერ ნექტრის აღება და თაფლად გადაამუშავება. ამ დროს

თაფლი იძენს იმ სამკურნალო თვისებებს, რომელიც გააჩნია მცენარეებს. ამ მცენარეებიდან შეიძლება სამკურნალო ნაყენის დამზადება, როგორც ერთი სახეობის მცენარეებიდან, ისე მცენარეების სახეობების ნაკრებიდან სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. ხშირად გვსმენია მეფუტკრეებისგან ფრაზები, ეს არის წაბლის თაფლი, ყვავილის თაფლი. იშვიათია ამაჟამდ თაფლი, რომელიც დამზადებულია ერთი მცენარიდან. საქართველოში



უკვე დაწვეულია სამკურნალო მცენარეების მოყვანა ერთეული სახეობების მიხედვით და, რა თქმა უნდა, ყოველწლიურად იზრდება მიწის ფართობები, რომელზეც ხდება ამ მცენარეების მოყვანა. მეფუტკრეებს შეუძლიათ აწარმოონ მოლაპარაკება ამ მიწის შესაკუთრებთან სკების განლაგებაზე, სამკურნალო მცენარეების პლანტაციებში.

ეს არის ურთიერთსასარგებლო ქმედება, რადგან ფუტკარი ხელს უწყობს დამტვერიანებას, მეორეს მხრივ, სარგებელია მეფუტკრისთვის, რადგან ის იღებს თაფლს უკვე ცალ-ცალკე თითოეული სახეობის სამკურნალო მცენარეებიდან. ამით იზრდება თაფლის დიფერენცირება და გადანაწილება ადამიანის სხვადასხვა დაავადებების მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს თაფლი გაიზიარება შესაბამის ლაბორატორიებში და მიეცემა თაფლს ფარმაცევტული მნიშვნელობა და, რა თქმა უნდა, ამ ქმედებით, გაიზრდება თაფლის თვითღირებულება.



რ. ლამბარაშვილი, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ხაშურის სამსახურის უფროსი ინსპექტორი

----- არა - ბულინგს -----

წერილი ვანიკოს

შეიძლება ღმერთი იყავი, რომელმაც მასწავლა რომ სხვების მოსაწონებლად ადამიანი არ უნდა დაეჩაგრე, მე კიდევ ვერ გიცანი...
აღბათ გახსოვს, როგორ მოვედი ხელი გკარი და წიხლიც ამოგარტყი, ბიჭების დაცინვაც გემახსოვრება. მე ის მახსოვს, როგორ შემომ-



ხედე, თითქოს ჩაგვრას მიჩვეულმა, მაგრამ გაკვირვებულმა - შენ ხომ ასეთი არ ხარო, მითხარი და წახვედი.

მე მართლა არ ვიყავი ეგეთი, არასოდეს მიყვარდა ვინმეს ჩაგვრა, სიმართლე ვთქვა, არც იმ ბიჭებთან მქონდა რამე დასამტკიცებელი და მით უმეტეს შენი დაჩაგვრით რომ დამემტკიცებინა, მაგრამ მაინც გავაკეთე. თითქოს ყველას ვაჩვენე რომ თქვენ თუ ჩაგრავთ, მე რატომ ვერ-ვიზამ-მეთქი.

არადა ყველა გჩაგრავდა....

ვინ იცის, რამდენჯერ გლომებია ჩვენთან ერთად თამაში, მაგრამ არავინ გათამაშებდით - მოხვიდოდით, იჯექით, გვიყურებდით და მიდიოდით. ხანდახან შენი პატარა ძმა მოგყავდა.

ვინ იცის, როგორ გინდოდა ვინმეს რომ თბილად მოემართა შენთვის, მაგრამ არავის გვეყო ვაჟკაცობა, რომ ყველას წინააღმდეგ წაესულიყავით და მიგვედე...

ვანიკოს წაბლისფერი თმა ჰქონდა, როგორც ყველა პატარა ბიჭს იმასაც სამკუთხედად ჰქონდა ბაკები, აქოჩრილი თმა და საოცრად დიდი თვალები. ყოველთვის გამორჩეულად სუფთად ეცვა და ძალიან უპრეტენზიოდ.

აღბათ 1 წელი ვიცნობდი და მხოლოდ ხუთი სიტყვა მახსოვს მისგან - შენ ხომ ასეთი არ ხარო - როცა მითხრა. აღბათ მანამდეც უთქვამს რამე, ან - არც, არ ვიცი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ვაძლევდით თავს უფლებას მისთვის რაც გვინდოდა ის გვეთქვა, არასოდეს შემოუბრუნებია სიტყვა. ერთადერთხელ იყო თითქოს, რომ თავის დაცვას ეცადა, მაშინ, როცა პატარა ძმასთან ერთად იყო, აღბათ ძმის თვალში დამცირების შერცხვა.

ვინ იცის სახელში მისულს რამდენჯერ უტირია, შეიძლება როგორ

უნდოდა მეგობარი ვისაც დაელაპარაკებოდა, „ველური გულის“ სერიებზე თავის აზრს ეტყოდა, შუქის მოსვლის ამბით გაახარებდა და „ტურბოს“ „ნაკლენებს“ გაუცვლიდა...

ის დღეც მახსოვს, რომ წავიდა. ფეხბურთს ვთამაშობდით, ვანიკო იჯდა და გვიყურებდა, ძმა მოვიდა - დედამ, მოვიდეს მალე უნდა წავიდეთო. ადგა ჩუმად და წავიდა. არავის შეგვიმჩნევია, არც მე, უბრალოდ მერე აღვიქვი ძმაც და ვანიკოს წასვლაც. მერე მატარებელმა ჩაიარა და ფანჯარაში ვანიკო დავინახე, ტირიდა, რამაც ძალიან გამაკვირვა, არასოდეს მენახა ვანიკო რომელიც ტირის. ვანიკოს მეზობელს ვკითხე, რაზე ტირის-მეთქი და სახლი წაართვეს ვალის გამო და აქედან წავიდნენო, უდარდელად მითხრა და ბურთი კარის ზედა ძელს დაუმიზნა რომ „სტოპიპატი“ სასურველი 105 ქულა აეღო.

რამის შეცვლა რომ შემეძლოს, იმ დღეს ვანიკოს სტადიონიდან არ გავეშვებდი, მაგრამ ჩავეხუტებოდი და იმის გამო მთელ სამყაროს დაუპირისპირდებოდი, ვეტყოდი, რომ ყველაზე მაგარი ბიჭია მსოფლიოში და რაც მთავარია, იმ ბოდიშს მოვუხდით ახლა რომ გუხდი.

მაშინ თამაშს თავი დავანებე, ჩემი თავის შემრცხვა, სახლში წავიდი და ბევრი ვიტირე ჩემს უსუსურობაზე, რომ სხვის დასანახავად ვზაგრავდი ვანიკოს. რამდენიმე დღე არცერთი ჩემი მეგობრის დანახვა არ მინდოდა. მერე ყველაფერი ისევ დაბრუნდა კალაპოტში, მაგრამ ვანიკო წავიდა.

იმის მერე, როცა ვინმეს ვავიცნობ, რომელსაც ვანიკო ჰქვია, პირველი სადაურობას ვეკითხები, მაგრამ სასურველ მისამართს ვერ ვიგებ. შეიძლება კიდევ ვავიცანი ვანიკო, მაგრამ ვანიკოს არ უნდოდა ბავშვობის იმ მისამართის გახსენება, სადაც ბევრი მწარე მოგონება დატოვა.

ვანიკო (შეიძლება ახლა უკვე ვანო ან ივანე) არ ვიცი ოდესმე თუ შეგხვდები, მაგრამ იცოდნენ რომ შვიდ მილიარდიანი დედამიწაზე არსებობს ერთი ადამიანი რომელსაც მუდამ ახსოვხარ, შენი დიდი თვალებიც ახსოვს, შენი პატარა ძმაც, შენი აქოჩრილი თმაც, მაგრამ ყველაზე მეტად ის წამი მახსოვს როცა გატკინე, ახლა რომ ვხვდები ძალიან პატარა გუული.

არ ვიცი ვინ იყავი, ისე ცოტა ხანს რატომ გამომჩნდი ჩემს ცხოვრე-



ბაში, არც ის ვიცი, სად წახვედი და საიდან მოხვედი, ბევრი რამე არ ვიცი შენზე, ამიტომ ვფიქრობ, შეიძლება ღმერთიც იყავი, რომელმაც მასწავლა რომ სხვების მოსაწონებლად ადამიანი არ უნდა დაეჩაგრე, მე კიდევ ვერ გიცანი....

ლადო გოგოლაძე

თავისუფალი ჭიდაობა

პატარა სპორტსმენები კასპიდან მედლებით დაბრუნდნენ

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ხაშურის სკოლა წლებია, ქვეყნის მასშტაბით, მუდამ მოწინავეთა შორისაა. აქ აღზრდილი სპორტსმენები მუდამ წარმატებით გამოდიან საშინაო თუ საერთაშორისო არენაზე. ასე იყო ამ დღეებშიც. ამჯერად კი პატარა სპორტსმენებმა გვასახელეს.

9-10 თებერვალს, კასპში, ჩატარდა ნუგზარ გოგიბედაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, უმცროსი ასაკის სპორტსმენებს შორის.

ხაშურელმა მოჭიდავეებმა (მწვრთნელი გ. კვინიკაძე) ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს და 5 მედალი მოიპოვეს. მოჭიდავეები ხაშურში 1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ.

პირველი ადგილი: გიორგი გოგალაძე 29 კგ.

მეორე ადგილი: თორნიკე ბასიშვილი 35 კგ.

მესამე ადგილი:

ნიკოლოზ ნოზაძე 32 კგ.

ირაკლი ლომსაძე 38 კგ.

გაბრიელ ლეჟავა 41 კგ.



მაგული რიკაძე - პედაგოგი, რომლისთვისაც სკოლა სიყვარული, სიხარული და ბედნიერებაა

კარგი მასწავლებელი მთავარი პირობაა, რომლის მიხედვითაც სკოლას ვირჩევთ. თუმცა, როგორც უნდა იყოს კარგი მასწავლებელი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თავადაც გვიჭირს. კარგი მასწავლებელი შესაძლოა სხვადასხვანაირი იყოს: მაგალითად, ხანდაზმული ქალბატონი კეთილი გულით, ან უნივერსიტეტის



კურსდამთავრებული, ან იქნებ მაგული მასწავლებელი, მოსწავლეების მეგობარი და მესაიდუმლე, რომელმაც, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სკოლის კედლებში უამრავი პატარ-პატარა თუ დიდი საიდუმლო საკუთარი მოსწავლეებისათვის მიცემული პირობის დასტურად გულით ატარა და... დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საშურის №3 საჯარო სკოლის პედაგოგს, მაგული რიკაძეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. ქალბატონ მაგულის, დამსახურებული მასწავლებლის სიგელი და სამკერდე ნიშანი ქალაქ საშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ გადასცა. სკოლის მოსწავლეებმა მცირე საზეიმო ღონისძიება გამართეს და ისაუბრეს ქალბატონი მაგულის ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ.

„ - მაგული მასწავლებლის საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდებაზე წარდგენის ინიციატივა ქალაქ საშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს ეკუთვნის. ქალბატონი მაგულის ღვაწლის შესახებ მთელი „არხა“ დოკუმენტები მოგვიგროვდა, მას იმდენი რამ აქვს გაკეთებული სკოლისათვის. დამსახურებულად წარვადგინეთ ჯილდოზე მაგული მასწავლებელი და სასიხარულოა, რომ მას საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.



ერთი წელია, რაც მაგული მასწავლებელთან ვთანამშრომლობ და მე იგი გამოეცადა როგორც თანამშრომელი, როგორც პედაგოგი. ის არის არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო, რომლის იმედათაც შეგიძლია იყო ყოველთვის. მაგული მასწავლებელი არის ადამიანი, რომლის მხრებზეც დგას მესამე სკოლა და ჩვენი სკოლის ბურჯია, არაჩვეულებრივი პროფესიონალი თავისი საქმის და მე ძალიან მიხარია რომ მომეცა შესაძლებლობა ვიმუშაო მაგული მასწავლებელთან ერთად! - განაცხადა სსიპ ილია ჭავჭავაძის მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა თამარ გაგლოშვილმა.

შტრისები საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ცხოვრებიდან. პედაგოგი მაგული რიკაძე - ცხოვრობს საშურში, ჰყავს მეუღლე ნოდარ ახალკაცი და ორი შვილი, ეკონომისტი დავით ახალკაცი და ჟურნალისტი ირმა ახალკაცი, არის ხუთი შვილიშვილის ბებია. დაბა სურამის პირველი საჯარო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სწავლა გააგრძელა გეოგრაფია-ბიოლოგიის სფაკულტეტზე. როგორც წარმატებული სტუდენტი, ქარელის რაიონის სოფელ ოქროსსოფლის სკოლის დირექტორად გაანაწილეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, საშურის რაიონის წადვლის საჯარო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, აქ იწყება მისი პირველი აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა. მის მსგავსად ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი მუშაობდა წადვლის სკოლაში და ხელმძღვანელობის თანადგომითაც სარგებლობდნენ. 15 წელი იმოდღაწა პედაგოგად წადვლის სკოლაში. დაოჯახდა. 1986 წლიდან მუშაობას აგრძელებს საშურის მესამე საჯარო სკოლაში. „...ჩემს სკოლაში და მოვდივარ დღემდე...“ - ღიმილით აღნიშნავს ქალბატონი მაგული ინტერვიუს ჩაწერისას. 1989 წლის 9 თებერვლიდან არის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელით დარგში. „... - მუდმივად ვგრძნობ პატივისცემას და დიდ სიყვარულს ჩემი კოლეგებისგან. მეც ძალიან მიყვარს ჩემი პროფესიონალი გუნდი და მეამაყება, რომ იმ სკოლაში ვმუშაობ, სადაც ასეთი ადამიანები არიან,“ - ღიმილითვე აგრძელებს საუბარს მაგული მასწავლებელი.

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი მაგული რიკაძე ჯილდოს მიღების მოულოდნელობისგან გამოწვეულ ემოციებს დღესაც ემოციურად ისვენებს.

- ნამდვილად მოულოდნელი იყო, თანამშრომლებმა, სკოლის დირექტორმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ ეს ყველაფერი და ჩემთვის არ გაუმეღანებიათ... 2020-21 წლის სასწავლო წლის სკოლადამთავრებულებისათვის მედლების გადაცემის საზეიმო ღონისძიება მიმდინარეობდა, როდესაც წამყვანებმა ჩემს შესახებ წამოიწყეს საუბარი, დიდი უხერხულობა ვიგრძენი. თურმე შემეტყო კიდევ ეს უხერხულობა... თანამშრომლებს მზერა ჩემსკენ ჰქონდათ მოპერობილი, რა რეაქცია მექნებოდა... ხელითაც კი ვანიშნე ღონისძიების წამყვანს, რომ აღარ გაეგრძელებინა... და როდესაც გამოცხადდა რომ მომენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, გაოგნებული ავდექი, ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო. ბატონმა ზვიადმა მომილოცა, გადმომცა სიგელი და სამკერდე ნიშანი, ძალიან გამეხარდა, რა თქმა უნდა, გამეხარდა, ვის არ გაეხარებოდა (ქალბატონი მაგული იღიბის)?..



- რა ემოცია იყო? თითქოს თავდაპირველად ვერაფერი ვერ გავიაზრე, რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ემოციების პირველმა მოზღვავებამ გაიარა, მაშინ გავაცნობიერე ეს ყველაფერი და მიხვდი, რომ შრომა უკვალოდ არ ჩაივლის და წლების თავდაუზოგავი ღვაწლი დაგიფასდება. უდრმესი მადლობა ამისათვის ჩემს პედაგოგკოლეგებს, ჩემს სკოლის დირექტორს და რესურსცენტრის ხელმძღვანელს. რომ არა ისინი, შეიძლება მე არ ვყოფილიყავი წარდგენილი. უდრმესი მადლობა და მე კიდევ აღენიშნე, რომ დარჩენილი წლები უფრო მეტი პასუხისმგებლობით, უშურველი ენერგიით გაავარძელებ მუშაობას. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ჯილდო მეტს მავადებს, მეტი სტიმული და პასუხისმგებლობაა.

- რატომ სკოლა და პედაგოგი? მე სურამის პირველი საჯარო სკოლა დამთავრე, სადაც მყავდნენ არაჩვეულებრივი პედაგოგები. ისეთი პედაგოგები, რომ პროფესიის შერჩევას, არც კი მქონია სხვა ფიქრი. გამიმართლა, რომ უამრავი ღვაწლმოსილი პედაგოგი მასწავლიდა. სკოლაშიც წარჩინებული მასწავლებელი ვიყავი, ვხელმძღვანელობდი ლიტერატურულ წრეს, მიმყავდა ლიტერატურული სადამოებო, და ამან მასწავლა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობა. უფრო მეტად ვიყავი მათთან დაახლოებული. დღემდე მაქვს შენახული ჩემი საყვარელი მასწავლებლის მერი ადვიშვილის ხელნაწერი... და გადავწყვიტე, რომ გამეხდარიყავი მასწავლებელი.

- როგორია ჩემი და მოსწავლეების ურთიერთობა, მათდამი დამოკიდებულება? ძლიან მიყვარს მოსწავლეები, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ამდენი წელი სკოლაში არ მემუშავა. ჩემი სპეციალობით შემეძლო სხვა დარგშიც გამეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ როცა კი დავფიქრებულვარ, ყოველთვის უპირატესობა სკოლისთვის მიმინიჭებია. ზაფხულშიც კი მენატრება ჩემი სკოლა და მოსწავლეები... მათთან ვმეგობრობ. სხვათაშორის, არაფორმალურ გარემოში ჩემი მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ რამდენადაც სკოლაში სასწავლო პროცესის დროს მკაცრი ვარ, იმდენად არაფორმალურ გარემოში მათთან ურთიერთობისას თავისუფალი და მეგობრული ვარ. არასოდეს მოსწავლეებთან არ ამიწვეია ხმა, არასოდეს. მოსწავლეებთან ყოველთვის ვპოულობ საერთო ენას, ისინი ჩემთან გულახდილები არიან. მოსწავლეებმა იციან, რომ მათი მონაყოლი, მათი გულისხნადები ჩემთან დარჩება.



რა თქმა უნდა, მათთან მეგობრობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათთან მეგობრობა სკოლის დამთავრების შემდეგაც გრძელდება. არ მახსენდება მათთან უთანხმოება. ყოველთვის ვცდილობ, ვიყო მათი თანამდგომი, უპირატესი ჩემთვის ისინი არიან. მათი შეფასებისას, ჯერ მათ დადებით მხარეებს განვიხილავ და მხოლოდ ამის შემდეგ შეპარვით მათ სუსტ მხარეებსაც ვხეხები...

ინტერვიუს დასასრულს არ შემეძლო მაგული მასწავლებლისადმი მილოცვებით გაჯერებული სოციალური ქსელიდან, ერთ-ერთი მათგანი არ გამომერჩია და გამეზიარებინა თქვენთვის. „ყველა დამსახურებისათვის რომ შესაბამისი ჯილდო არსებობდეს, ვერ დაიტყვედით... დამსახურებული ჯილდო - ერთგულებისთვის, პატიოსნებისთვის, მეგობრობისთვის, კაცობრივარებისთვის, თანადგომისთვის... უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო... უსასრულოდ ვისაუბრო თქვენს დამსახურებებზე და არ დავიდალო თქვენს სიყვარულში. გილოცავთ მაგული მასწავლებელი, ძალიან, ძალიან მიყვარხართ!“

თ. ახალკაცი

ა(ა)იპ საშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „საშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: საშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: საზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო საზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.